მისამართი:
ინგოროყვას ქ. 7, თბილისი, საქართველო

თბილისი, 22 იანვარი, 2020 წ.

(GPTCH) საქართველოს პროტონ თერაპიის ცენტრი - ჰოსპიტალი

თქვენო აღმატებულება ბ-ნო პრემიერ მინისტრო,

GPTCH-ის პროექტი შეიქმნა, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქის, TCU-ს პროფესორ და ამერიკელი ქირურგიის კოლეჯის წევრი, დოქტორი ქირურგი პლატონ ესართიასა და გერმანიის მოქალაქის, ინჟინერ-ტექნოლოგის და ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, აკაკი ცაავას მიერ 2018 წელს, რათა განახორციელონ ინვესტირება საქართველოში მზარდი სამედიცინო ტურიზმისა და ჯანდაცვის ბაზარზე, რომელსაც უკიდურესად ესაჭიროება ადგილობრივი ონკოლოგიური სადიაგნოსტიკო საშუალებები და საერთაშორისოდ აღიარებული, უმაღლესი დონის თერაპიული მეთოდოლოგიების დანერგვა.

პროექტი ითვალისწინებს მინიმუმ 120 საწოლიანი ონკოლოგიური საავადმყოფოს დაფუძნებას, სადაც დასაქმდება 200-ზე მეტი თანამშრომელი 60 უმაღლესი განათლებისა და პრაქტიკის მქონე უცხოელი ექიმის ჩათვლით. ჯამური საინვესტიციო მოცულობა შეადგენს 100 მილიონ ევროზე მეტს. მას მერე რაც საავადმყოფო სრულად დაიწყებს ოპერირებას, ყოველწლიური შემოსავალი და ოპერატიული დანახარჯი (OPEX) მიაღწევს 75 მილიონ ევროს, რაც სრულად ამუშავებისა და დატვირთვის შემდეგ საკმარისზე მეტი იქნება იმისათვის, რომ მოემსახუროს ონკოლოგიური საავადმყოფოს ოპერირებისთვის საჭირო კაპიტალურ საინვესტიციო ღირებულებას.

GPTCH პროექტი გეგმავს ვიზიტორების მოზიდვას კავკასიის (აზერბაიჯანი, სასომხეთი), აღმოსავლეთ ევროპის (უკრაინა, რუსეთი და ა.შ.), ახლო აღმოსავლეთის (ირანი, თურქეთი და ა.შ.) ბაზრებიდან, რადგანაც ზემოთაღნიშნულ რეგიონებსა და ქვეყნებში არ არსებობს პროტონის ტექნოლოგია (მხოლოდ რუსეთში, სანქტ პეტერბურგში და ბელგოროდში ფუნქციონირებს ორი პროტონ თერაპიის ცენტრი). ბაზრის კვლევამ აჩვენა, რომ ევროპის ქვეყნებშიც კი, პროტონ თერაპიის სამკურნალო საშუალებების ნაკლებობის გამო მკურნალობაზე მოთხოვნა იმდენად მაღალია, რომ საავადმყოფოებს, არსებული დიდი რიგებიდან გამომდინარე, უწევთ პაციენტების სხვა ქვეყნებში გაგზავნა, იქ სადაც შესაბამისი სამკურნალო საშუალებები ხელმისაწვდომია. GPTCH აწარმოებს მოლაპარაკებებს Proton Brothers International-თან, დიდ ბრიტანეთში რეგულარულ საწყისებზე თანამშრომლობაზე, იმისათვის, რომ უზრუნველყოს პროტონ თერაპიით მკურნალობის შესაძლებლობა რიგის მომლოდინე იმ პაციენტებისთვის, რომლებმაც მიმართეს Proton Brothers International-ის მიერ წარმატებით მართულ სამ (3) პროტონ თერაპიის საავადმყოფოს დიდ ბრიტანეთში.

კერძო საერთაშორისო დაფინანსების მოზიდვა შესაძლებელია გარკვეული პირობებით, რომლებიც მოიცავს საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებისაგან (IFI) და მაღალი საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგის მქონე ოპერატორისაგან მიღებული მხარდაჭერის დადასტურებას. დაფინასება 100%-ით ეფუძნება გარე პირდაპირ ინვესტიციას (სააქციო კაპიტალში ინვესტირებას) და გააუმჯობესებს როგორც საქართველოს გარე პირდაპირი ინვესტიციების (FDI) მაჩვენებელს, ასევე საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მომსახურების მიმართულებებს, უფრო მეტიც - კავკასიის რეგიონის მასშტაბის გარეთაც კი.

მპს "საქართველოს პროტონ თერაპიის ცენტრი ჰოსპიტალი"
შალვა ნუცუბიძის ქ. 17/10, GEO-0177 თბილისი, საქართველო
ტელ. +1 404 8199643 | ფაქსი +995 599 699932 | ელ. ფოსტა: pesartia@att.net
საიდენტიფიკაციო ნომერი 405222762 | საგადასახადო ნომერი 102018328315

LLC "GEORGIAN PROTON THERAPY CENTRE HOSPITAL"
SHALVA NUTSUBIDZE STREET 17/10, GEO-0177 TBILISI, GEORGIA
PHONE +1 404 8199643 | FAX +995 599 699932 | EMAIL: pesartia@att.net
REG. NO. 405222762 | VATIN 102018328315

www.gptch.com

პროექტის დამფინანსებლებისათვის შესაბამისი საინვესტივიო გარანტიის უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო მაღალი საინვესტიციო რეიტინგის მქონე ოპერატორი კომპანიისათვის (O&M) მნიშვნელოვანია საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების (IFI) ჩართულობით, BB საინვესტიციო რეიტინგის მქონე ყვეყანაში არსებული პოლიტიკური რისკების დაზღვევა.

თავისმხრივ, საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები (IFI) პროექტის ინიციატორებისაგან მოითხოვენ, რომ პროექტი იყოს მხარდაჭერილი და წარდგენილი საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს ხელისუფლებასა და სხვა და სხვა საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებს (IFI) შორის გაფორმებული ჩარჩო სამუშაო შეთანხმების ფარგლებში.

მოგმართავთ თხოვნით, მხარი დაუჭიროთ აღნიშნულ პროექტს და დაგვეხმაროთ საქართველოში უახლესი ტექნოლოგიის პროტონ თერაპიისა და ონკოლოგიური ცენტრის პროექტის საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან (IFI) სათანადო წესით წარდგენაში.

შპს GPTCH

პლატონ ესართია (Platon Esartia)
Prof. Dr. Med.

აკაკი ცაავა (Akaki Tzaawa)
MEng.-Tech. & MBA

თანდართულია დოკუმენტაცია პრემიერ მინისტრის აპარატისთვის

2 | 2

MUNICIPALITY OF TBILISI

25.11.98

DECREE

Is presented to prof. PLATON ESARTIA for his great assistance to Georgia in a face of more than 100 free of charge operations performed on Georgian citizens during three International Symposiums in Laparoscopic Surgery in the years from 1996 to 1998 and his great contribution in development and popularization of Laparoscopic Surgery in Georgia

THE MAYOR OF TBILISI **I. ZODELAVA**